რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 15 აგვისტო 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის, 6 მ. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 123 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 123

ღრმად დამწუხრებულნი დედა ქრისტინე ქორიძე-ნიასი და მეუღლე ვასილი კანდელაკი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი შვილის და მეუღლის

**გულჩინა კანდელაკისას.**

მიცვალებულის გასვენება ბინიდან (ერმოლოვის ქ. 9. თფილისი) მოხდება სამშაბათს, ამ თვის 15-ს, საღამოს 5 საათზე; წაასვენებენ ვოგზალზე, ხოლო იქიდან იმავე ღამეს მატარებლით ს. ლანჩხუთში, სადაც დაიკრძალება ხუთშაბათს 17 ამ თვეს, დილის 11 ს.

ნოე ნიკოს ძე ჟორდანია ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს გარდაცვალებას ძვირფასი დის

**გულჩინა კანდელაკისას,**

რაც მოხდა თფილისში მის ბინაზე ამა თვის 13 ს. მიცვალებულის გამოსვენება ბინიდან, ერმოლოვის ქუჩა, 9. დანიშნულია სამშაბათს, 15 ამ თვეს, საღამოს 5 საათზე, წაასვენებენ ვოგზალზე, იქ დან იმავე ღამის მატარებლით ცხედარი გაიგზავნება ს. ლანჩხუთში, სადაც დაიკრძალება ხუთშაბათს 17 ამ თვეს დილის 11 ს.

3 აგვისტოს ჭრილობისაგან გარდაიცვალა სამხედრო საავადმყოფოში (ნავთლუღში)

**ალიოშ იოსის ძე ნალბანდოვი.**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს გულდამწუხრებულნი ძმები: ანტონ, ალექსანდრე, მიხეილ და ივანე იაკობის ძე ნალბანდოვები. რძლები: მარიამ იოსების ასული და ნინა მელქონის ასული ნალბანდოვებისა, დისშვილნი: ანუშკა სტეფანის ასული, რაფიელ და მიხეილ სტეფანის ძე ეროკოვები ფრანცისკე და დანიელ ალექსანდრეს ძე პოლიკოვები. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქართულ კათოლიკეთა ეკლესიაში, ხუთშაბათს 17 აგვისტოს დილის 11 საათზე, კათოლიკების ქუჩა.

გული დამთუთქა ძვირფასი რძლის

**ლიდა გიორგის ასულის ჭაგუნავას**

უდროოდ გარდაცვალებამ. ვუთანაგრძნობთ მის ქმარს დანიელს მწუხარებას. ხაზლი მაქსიმე ჭაბუკიანი.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: სიმონ და ელისაბედ, ძმები: მიხაკო და შალიკო, და ბიძაშვილი სილიბისტრო არ—ძე თავართქილაძე, აცნობებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩიბათის სკოლის მასწავლებელი ქალი

**დარია სიმონის ასული ქლენტი.**

დასაფლავება მოხდა ს. ვანის-ქედში.

უბედური მამა, მერაბ გიორგის ძე კილასონია, ძმები ნიკოლოზ და ანტონი კილასონიები, და ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, რძალი ზინა არჩილის ასული კილასონიასი და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს 15 მარიობისთვეს, ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის სამ ეძლის ექიმის:

**ანდრო მერაბის ძე კილასონიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე. 2—1

საღამო გაზეთ „პაიქარი"-ს სასარგებლოთ.

სამშაბათს, 15 აგვისტოს, პირველ გიმნაზიის დარბაზში შესდგება

**ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო**

(თათრულ ენაზე)

**საღამოს პროგრამა:** 1) ლექცია მ. აზატიანისა: „ომი და ზავი", 2) სპექტაკლი, 3) ლიტერატურულ მუსიკალური განყოფილება.

ფასი ბილეთებისა 50 კ.-დან, 2 მ.-დე. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თფილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს. ვაკანსიები არის მხოლოდ

**პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში** და გიმნაზიის **მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში.** მსურველებს შეუძლიან დანარჩენ კლასებში დაიჭირონ ადგილები, მხოლოდ ესენი ჩაირიცხებიან კანდიდატებად. თხოვნები მიიღება 23 აგვისტომდე.

**8 კლასიანი გიმნაზია**

**ე. ს. გიორგანიშვილისა**

**სრულ უფლებიანი ორთავე სქესის ბავშვებისათვის.**

თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 10—1 საათამდე, ნაძალადევი, ლოტკინის ქუჩა № 36.

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

**8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია**

**ყოველგვარ უფლებით**

**დ. ი. ბერიოზიშვილის**

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში.

თხოვნების მიღება ყოველ დღე. ✦ გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.

დიროქციის კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათუმის ქ., № 23 ლიდუმი, (ელისაბედის ქ. კუთხე) მეორე სართული. ტრამვაი 8.

**დღეს, 15 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე,**

## სასახლის თეთრ დარბაზში

**დანიშნულია აღმასრულებელ კომიტეტის მუშათა სექციის კრება შემდეგი კითხვების გასარჩევათ:**

1. საფაბრიკო ინსპექტორების შეცვლა ახალი პირებით.
2. ცენტრალურ შემრიგებელ კამერის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება.
3. შემრიგებელ კამერის დაკანონება დროებითი მთავრობის დეკრეტით.
4. თფილისში შრომის კომისარის დანიშვნა,
5. მომრიგებელ სასამართლოს რეორგანიზაცია და შრომის შესახებ მუშათა საჩივრების გარჩევის დაჩქარება.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბიურო სთხოვს მუშათა სექციის წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

ვინაიდგან კითხვები ფრიად მნიშვნელოვანია, ბიურო სთხოვს ჩვენს წარმომადგენლებს ცენტრალურ შემრიგებელ კამერაში და პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ ბიუროს წევრებს, მათაც დაესწრონ ამ კრებას.

**ოთხშაბათს, 16 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე**

## სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია

# მორიგი საზოგადო კრება

**მუშათა დეპუტატების საბჭოთა ამიერ-კავკასიის ცენტრისა.**

1) მოხსენება საორგანიზაციო კომისიისა, 2) გასაცხადება გერიუსის კომიტეტისა, 3) განცხადება ჯულფა-ზეთის გზისა, 4) თფილისის საგუბერნიო კომისარის მოხსენება, 5) სამთავრობო უფლები ანუ „შრომის" მიზნები, 6) მაგაკიანის საქმე, 7 მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

## დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადება.

რევოლიუცია საფრთხეშია. დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოწვევა 28 ნოემბრისათვის გადადვა.

რუსეთი დიდ კრიზისს განიცდის. კონტრ-რევოლიუციონერები ირაზმებიან. გარეშე მტერმა ფრონტი გაარღვია და შიდა რუსეთისაკენ მოიწევს. ამას დაურთეთ სასურსათო კრიზისი, სათბობი მასალის ნაკლებობა, რაც მთელ ინდუსტრიას დიდ საფრთხეს უქადის, მიმოსვლისა და სატრანსპორტო საქმის არევ-დარევა და ოქვენთვის აშკარა იქნება, რამდენად აუტანელია მდგომარეობა. ასეთ დროს ქვეყანა მოკლებულია საერთო ნდობით აღჭურვილ მთავრობას და მის წინააღმდეგ მარცხნივ და მარჯვნივ ირაზმებიან. ცხადია ერთად-ერთი სხსნა დამფუძნებელი კრების მოწვევაში უნდა ვეძიოთ. მხოლოდ მას ძალუძს გადაჭრას ეწვავე სოციალ პოლიტიკური საკითხები და შექმნას ერის დიდი უმრავლესობის ნდობით აღჭურვილი მთავრობა. ეს დემოკრატიის ბატონობის დამკვიდრება იქნება.

სწორედ ამიტომაც დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ გადაჭრით იბრძვიან ბურჟუაზიული წრეები. ისინი აშკარად ამჩნევენ, რომ რევოლიუცია თანდათან ძლიერდება, მას საზოგადოების ერთი ნაწილი შორდება და კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადადის. გარდა ამისა, იმის გაძლიერება რევოლიუციას ძირს უთხრის. საკმარისია ფრონტზე სასტიკი დამარცხება, რომ კონტრ-რევოლიუციონერები თავს წამოყოფენ და რევოლიუციის დასამარებას შეეცდებიან.

ბურჟუაზიული წრეები აშკარად ხედვენ, რომ ქვეყნათ ანარქია იზრდება, რაიცა რევოლიუციის დასამარებას ხელს უწყობს. ამიტომაც არის ბურჟუაზია თავიდანვე დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას ითხოვდა. ცენზოვნელ წრეებმა ეს აშკარად გამოთქვეს და მოითხოვეს ზავის ჩამოგდებამდე დამფუძნებელი კრების მოსაწვევათა ყოველი მზადების შეჩერება. მათ კარგად იციან, რომ ჯარის დემობილიზაცია სახელმწიფო ცხოვრებაში დიდ არევ დარევას შეიტანს, კონტრ-რევოლიუციონერთ ფრთებს შეასხამს და მათ გამარჯვებას ხელს შეუწყობს.

სწორედ ბურჟუაზიული წრეების კარნახით პირველ დროებით მთავრობას პ. მილიუკოვისა და გუჩკოვის მეთაურობით დამფუძნებელი კრების მოსაწვევად თითიც არ გაუნძრევია. რევოლიუციონური დემოკრატიის დაჟინებითი მოთხოვნილების თანახმად კოალიციონურმა შეერთებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოწვევა 30 სექტემბრისათვის დანიშნა, მაგრამ ბურჟუაზიამ, ფარისევლური როლი ითამაშა. პირიქით, ეხლა შეეცადნენ იტალიანური გაფანტვით დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას. უკანასკნელ დრომდე ბურჟუაზია ბატონობდა ქალაქის საბჭოებში, ხოლო ბევრის ადგილას ახლაც მემამულენი გაბატონებული არიან საერობო თვითმმართველობაში. საჭირო იყო ამრჩეველთა სიების შედგენა და ამ გზით დამფუძნებელი კრებისათვის ნიადაგის მომზადება, მაგრამ ბურჟუაზია და მემამულეთა კლასი აშკარა თუ ფარული ბოიკოტის გზას დაადგნენ. ამრჩეველთა სიები შედგენილი არაა. ამიტომაც დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებაც აუცილებელი შეიქნა. ამ შემთხვევაში დიდი დანაშაული ეხლანდელ დროებით მთავრობასაც მიუძღვის. ის რყევას განიცდის და თანდათან ბურჟუაზიის გავლენას ემორჩილება.

დამფუძნებელი კრების მოწვევა 28 ნოემბრისათვის გადადვეს. არჩევნები 12 ნოემბერს მოხდება. დემოკრატია ვალდებულია, საქმეს დაუყონებლივ შეუდგეს და ყოველი ძალღონით შეეცადოს, რომ ის დანიშნულ დღეზე მაინც მოწვეულ იქმნას.

ფაქტიურათ დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია იწყება. ჩვენი ამხანაგები ვალდებულნი არიან უპირველესათ საარჩევნო ფონდის გაძლიერებას შეუდგნენ და ამ გზით არჩევნებში გამარჯვებას ნიადაგი მოუმზადონ.

დამფუძნებელი კრების მოწვევა ერთადერთი გზაა რევოლიუციის გასაძლიერებლად. ემზადეთ დამფუძნებელი კრებისათვის!

## პაპის გამოსვლა ზავის სასარგებლოთ.

საერთაშორისო სოციალისტური პარტიები სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციისათვის ემზადებიან და იქ თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან.

მიუხედავათ მრავალგვარ დაბრკოლებისა,— სხვადასხვა სახელმწიფოების სოციალისტები სტოკჰოლმის კონფერენციის მოწყობას აპირობენ. ამ კონფერენციაზე შემუშავდება მომავალი საერთაშორისო პირობები, ზავის დამაჩქარებელი საშუალებანი. სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციაზე მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების სოციალისტური პარტიების დელეგატები საერთო საშუალო გზას გამოძებნიან და შეერთებული ძალ-ღონით შეეცდებიან თავ-თავიანთ—მთავრობებზე და გაბატონებულ კლასებზე გავლენა იქონიონ და რუსეთის რევოლიუციონური ორგანოების მიერ წამოყენებული ზავის პირობები სისრულეში მოიყვანონ. ზავი უანექსიო, და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული საერთაშორისო პროლეტარიატისათვის უძვირფასი, ადამიანთა განმანთავისუფლებელ ლოზუნგად გადაიქცა და ამიერიდან ინტერნაციონალური მუშათა კლასი საგარეო პოლიტიკის საქმეში პირდაპირ ჩარევას იწყებს.

ამ გარემოებამ დააფიქრა მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტური კლასები, მათი ერთგული და იდეის მატარებელი მთავრობები. უკანასკნელებმა თავიანთ საგარეო პოლიტიკის მეოხებით, თავიანთ იმპერიალისტური ომის გახანგრძლივებით თავიანთ წიაღიდან წარმოშვეს თავიანთივე მისწრაფების უარმყოფელი კლასი—საერთაშორისო დემოკრატია რომელიც თავისი კლასობრივი მდგომარეობით დიამეტრალურად წინააღმდეგია ყოველგვარ დაპყრობისა და ახალი ტერიტორიების შემოერთების.

ამ სწორედ ასეთი ტენდენცია, როცა მთელი მსოფლიო ცეცხლის ალში გაეხვია, როცა საწარმოვო ძალთა განვითარება, საერთაშორისო კულტურა და მისი კეთილდღეობა მიწასთან გასწორდა და მთელი კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ფიზიკურსა და კულტურულ საფრთხეში ჩავარდა,—ზევით დასახელებული პროლეტარიატის ტენდენცია გაძლიერდა, მეტი სიძლიერით თავი წამოჰყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის დემოკრატიამ საუკუნოებით შემუშავებული რეჟიმი დაამხო და რევოლიუციონური დროშა ააფრიალა—რუსეთის „წითელი მამლის" ყივილი მთელი ევროპის პროლეტარიატს იერიქონის საყვირივით მოესმა. ამის შემდეგ საერთაშორისო პროლეტარიატი წელში გაიმართა, კვლავ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ თავის მოყრა დაიწყო.

ეჭვს გარეშეა, ინტერნაციონალურმა პროლეტარიატმა უწინარე ყოვლისა მსოფლიო ომის მოსპობა და სამართლიანი ზავის ჩამოგდება პირველ რიგში დააყენა და მის გარშემო დაიწყო მოქმედება. ამ გარემოებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები, მთელი გაბატონებული კლასები,—განსაკუთრებით კი მეომარი სახელმწიფოების,—დიდ საგონებელში ჩააგდო. ეხლა ზავის ჩამოგდება პირდაპირ საერთაშორისო საქმედ გადაიქცა და მისი ასე თუ ისე გადაჭრა დღიურ წესრიგშია დაყენებული.

ასეთი ძალთაგანწყობილება, საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ ზავის ჩამოგდება მეტად სახიფათოა იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის და ამათაც შესაფერი გამოსავალი გამონახეს.

ახლა ზავის მოციქულათ ევროპის მეომარ სახელმწიფოებმა რომის პაპი ბენედიქტ XV გამოუშვეს რომის პაპი მეომარ სახელმწიფოებს ოფიციალურათ მიმართავს ზავის ჩამოგდება დააჩქარონ. ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეხებით პაპის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებს—მხოლოდ მოკლედ კი ვიტყვით, რომ მისი ზავის პირობები ასე თუ ისე საერთაშორისო პროლეტარიატის ზავის პირობების უახლოვდება და უკანასკნელს ოპოზიციაში არ უდგება.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისის რიცხვებში, რუსეთის რევოლიუციის გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული მოითხოვეს, ყველანი ზავზე ალაპარაკდნენ და ყველანი პაპის ზავის სასარგებლოთ გამოსვლას მოელოდნენ. მაგრამ მან აშკარა გამოსვლა ვერ გაბედა და მხოლოდ ვატიკანის ოფიციოზში კათოლიკეთ ენციკლიკით მიმართა, რომელშიაც ის მორწმუნეებს მოუწოდებდა, რომ მათ ზავის ჩამოგდებისათვის ელოცნათ. იგი აშკარათ არამც დროის არ გამოსულა მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხის შეხედულებას ძრახავდნენ და უკანასკნელებს საერთო ხოცვა-ჟლეტვისაკენ მოუწოდებდნენ. მისი ნეიტრალური მდგომარეობა საგულისხმოა. წავიდა ის დრო, როცა რომის პაპი მთელი კათოლიკეთა სახელმწიფოებს ბატონობდა და მათი გვირგვინოსნები პაპის წინაშე იჩოქებდნენ. ახლა ბურჟუაზიის ბატონობის ხანაა და პაპიც მეომარ სახელმწიფოების დიპლომატიის ყურ მოჭრილი მონაა და თუ პაპი ახლა ოფიციალურათ გამოდის და თავისი უკანასკნელი მოწოდებით მეომარ სახელმწიფოების მთავრობებს მიმართავს, ეს აშკარათ იმის მომასწავებელია, რომ იგი ამ მეომარ სახელმწიფოების მთავრობების სურვილების ასრულებას და მათ დირექტივებს ემორჩილება.

კათოლიკეთა სახელმწიფოები—განსაკუთრებით ევროპის იმპერიალისტები ზავის საკითხის გადაჭრას საერთაშორისო პროლეტარიატს არ აძლევენ და რომ მათი სტოკჰოლ-

**გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ**

# ერთობა-ზე.

**გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:**

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის მომწერთათვის 1 მანეთი.

**გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба“.**

**თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.**

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.


## საერთაშორისო ომი

**დასავლეთის ასპარეზზე, ბარანოვიჩის მიმართულებით მტერი ხანტიკ საარტილერიო სროლას აწარმოებს და მას დახმარებას უწევს აეროპლანები. ეტყობა მტერი ამ ფრონტზე ძლიერი შემოტევისათვის ემზადება.**

**რუმინიის ფრონტზე ბრძოლა კვლავ ფოკშანის მიმართულებით სწარმოებს და აქ რუსის და რუმინიის ჯარი იერიშებს იგერიებს.**

**კავკასიის ფრონტზე რუსის ჯარს მტერზე იერიშები მიაქვს და წინ მიიწევს. გიუმიშხანის მიმართულებით ოსმალეთის ჯარმა უკან დაიხია და რუსეთის მხედრობამ უშნუეს დასავლეთით, გეგრედაგას რაიონში მაღლობები დაიკავა.**

**საფრანგეთის ფრონტზე მდ. მაასის რაიონში საფრანგეთის ჯარი მედგარ იერიშების მიტანას განაგრძობს. ამათ დაიკავეს „304“ მაღლობი და კოლმარის ტყე. საფრანგეთის ჯარმა ამ რაიონში 3 კილომეტრის მანძილით წინ წამოიწია. მორტომის ჩრდილოეთითაც 1 კილომეტრით წინ წაიწიეს. დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდება იტალია-ავსტრიის ფრონტზე. იტალიის ჯარმა მთელ ფრონტზე იერიშები დაიწყო და მედგრათ წინ მიიწევს. ამ ბრძოლის დროს მან ტყვეთ წამოიყვანა ავსტრიელები 20000 ჯარის კაცი და 500 აფიცერი. ხელთ იგდეს 60 ზარბაზანი და მრავალი საომარი მასალა.**

მის კონფერენციის მიზანი ჩაშალონ, მათ ახლა ზავის ასპარეზზე პაპი გამოიყვანეს. გერმანიის რეიხსტაგში პაპის მოწოდების შესახებ კანცლერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა ყოველგვარ მოწოდებას ზავის შესახებ სიამოვნებით შეხვდება და ზავის ჩამოგდებას ხელს შეუწყობს“.

მაშინ როცა ყველა მეომარ სახელმწიფოების მთავრობა საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას ხელს უშლიან რომის პაპის ზავის მოწოდებას პარლამენტში ესხმაურებიან. მაგრამ მათ ასეთ თვალთ-მაქცობას საერთაშორისო პროლეტარიატი ადვილად მიხვდება. უკანასკნელმა კარგათ იცის, რომ ისინი ზავის მომხრენი არ არიან, რომ ზავი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეა და თუ ახლა იმპერიალისტური სახელმწიფოები პაპს ალაპარაკებენ—ეს იმიტომ, რომ ქვეყანა დააჯერონ,—ვითომ ისინიც წინააღმდეგები არიან ამ არა ჩვეულებრივი მსოფლიო ომისა.

კათოლიკეთა ეკლესიის მთავარი მართველი—ეს ბურჟუაზიის მონა-მორჩილი, ალაპარაკს მაშინ, როცა საერთაშორისო პროლეტარიატი ზავის გარშემო ამოძრავდა და იგი მორიგ საკითხად გადააქცია. ძლიერია პროლეტარიატის მოძრაობა, მისი ზავისადმი მისწრაფება და მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტები მის წინაშე ადრე თუ გვიან მუხლს მოიდრეკენ და ზავს ჩამოაგდებენ.

## მოსკოვის თათბირი.

(პ. ღ. ს.)

**მოსკოვი.** 12 აგვისტო. ხალხი დილიდანვე იკრიბება. პირველ საათის შემდეგ კი ხალხით ივსება მთელი მოედანი. დიდ თეატრისაკენ მიმავალ მინისტრებს ხალხი სიხარულით ეგებება. განსაკუთრებით შეხვდენ კერენსკის. თათბირი 3 საათზე უნდა გაიხსნას. ადგილები პარტერში, სცენაზე, ლოჟებში და ქანდარაზე დაკავებულია თათბირის მონაწილეთა მიერ. დარბაზი წითელი შალით არის მორთული და გაჩირაღდნებული მრავალი კანდელებით. პრეზიდიუმის მაგიდა შუა სცენაზეა. პრეზიდიუმის შემდეგ—მთავრობის წარმომადგენლების ადგილებია. სცენის სიღრმეში—ნაციონალური ორგანიზაციების სამეცნიერო დაწესებულებების, მშრომელ ინტელიგენციის და საზოგადოებრივი დაწესებულების წარმომადგენლები არიან. სცენის პირველ რიგში—კროპოტკინი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, ზასულიჩი და მრავალი შლისელბურგელები სხედან. მარცხნივ—პრესის წარმომადგენლნი სხედან. პარტერში მარჯვენა მხარე უჭირავთ ოთხივე სახელმწიფო დუმის წევრებს. მათ შორის გოლოვინი, ხომიაკოვი და გუჩკოვი არიან. მარცხენა მხარე დაიჭირეს ც. აღ. კ. ს. დ. წარმომადგენლებმა—ცენტრი—ც. კ. ს. კ. დ. ამფითეატრი—პროფესიონალური კავშირებმა და სახელმწიფო დუმის წევრებმა. მეფის ლოჟაში—მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები სხედან. დანარჩენ ლოჟებში—ყოფილი მთავარ-სარდალი ალექსეევი, ბრუსილოვი, დონის სამხედრო ატამანი კალედინი, კავკასიის ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი იუდენიჩი, ადესის სამხედრო შტაბის უფროსი მარქსი, კოოპერატივების, სასურსათო კომიტეტების, სასოფლო საზოგადოების, სიმბირის საბჭოების, ბირჟის კომიტეტების, ერობის, ქალაქების, აღმასრულებელ კომიტეტების, სამხედრო და საზოგადო შეერთებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. 3 საათზე პრეზიდიუმის მაგიდასაკენ მიეშურებიან მინისტრები კერენსკის მეთაურობით. თათბირი მათ ოვაციებს უმართავს.

პირველი ადგილი კერენსკის უჭირავს. მის მარჯვნივ და მარცხნივ სხედან დანარჩენი მინისტრები: ნეკრასოვი, კოკოშკინი, ნიკიტინი, აქსენტიევი, პროკოპოვიჩი, პეშეხონოვი, კარტაშევი, ოლდენბურგი, იურიევი, ჩერნოვი.

„დრ. მთავრობის დავალებით იწყებს კერენსკი—ვაცხადებთ სახელმწიფო თათბირს გახსნილად ჩემს თავმჯდომარეობით, რომელიც მოწვეულია რუსეთის სახელმწიფოს უმთავრეს მთავრობის მიერ. მთავრობის სახელით სალამს ვუძღვნი შეკრებილ მოქალაქეთ. განსაკუთრებითი სალამი ჩვენს ძმებს—მხედრებს, რომლებიც ეხლა მამაცათ იცავენ რუსეთის საზღვრებს (ტაში).

დიდებულ და საშიშარ ჟამს, როდესაც მძიმე ტანჯვაში იქმნება და ვითარდება ახალი თავისუფალი დიდი რუსეთი—დრ. მთავრობამ მოგიწვია თქვენ, დიდი რუსეთის მოქალაქენო, არა ურთიერთ შორის ანგარიშების გასასწორებლათ, არა პროგრამების შესახებ საბაასოთ, არა იმიტომ, რომ მძიმე მდგომარეობის გამო თათბირით ისარგებლოთ, არა იმიტომ, რომ დრ. მთავრობის გავლენა შეარყიოთ, რომელიც რევოლიუციონური ხალხის ნებით ხელმძღვანელობას უწევს რუსეთის ხალხს და ცდილობს მოპოვებულ თავისუფლებანი განამტკიცოს და დამფუძნებელ კრებამდის მიიყვანოს ქვეყანა,—არამედ იმიტომ მოგიწვიათ თქვენ, თავისუფალი რუსეთის შვილებო, დრ. მთავრობამ, რომ გითხრათ თქვენ სრული სიმართლე იმაზე,—თუ რა მოგველის, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთი; გაწამებული, დიდლიანი თქვენი სამშობლო, მოგიწვიეთ თქვენ იმიტომ, რომ გითხრათ თქვენ აქ რუსეთის ცენტრში, მოსკოვში, ყოველივე სიმართლე. მოგიწვიეთ იმიტომ, რომ აწი არავინ სთქვას, რომ მან არ იცოდა და თავისი არ ცოდნით არ გაამართლოს თავისი მოქმედება, თუ ეს მოქმედება კიდევ უფრო გაართულებს რუსეთის მდგომარეობას. დიე, იცოდეს ყველამ,—ამბობს შემდეგ კერენსკი,—იცოდეს ყველამ, ვინც კი ერთხელ მაინც შეეცადა შეიარაღებული გადალაშქრა ხალხის მთავრობის წინააღმდეგ,—დიე, იცოდნენ ყველამ, რომ ასეთი ცდა სისხლით და რკინით ჩაკლული იქნება (ხანგრძლივი ტაში). დიე, უფრო ფრთხილათ იყვნენ ისინი, რომლებმაც ერთხელ უშედეგოთ სცადეს რევოლიუციონური მთავრობის ჩამოგდება. (ხანგრძლივი ტაში და მოწონების ხმები) დრ. მთავრობა დარწმუნებული და თანვე იცის, რომ აქ, რუსეთის შუა გულში, ყველა თქვენგანი დაივიწყებს ყველაფერს, გარდა სინდისის მოვალეობისა სამშობლოს წინაშე (ტაში). ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია სიმართლის თქმა თავისუფლათ. რევოლიუციის შემდეგ ჩვენ—დრ. მთავრობა პირველათ მოდის თქვენთან, რუსეთის მოქალაქენო, და პირდაპირ გეუბნებით სიმართლეს. სახელმწიფო საშიშ, უკანასკნელ წუთებს განიცდის. დიე, ყველამ, ვისაც კი მოქალაქის მოვალეობა შეგნებული აქვს,—გაიგოს ეს ჩვენი უმთავრესი განცხადება. შემდეგ კერენსკი ამბობს, რომ თუმცა ყველანი გრძნობენ ამ საშიშ მდგომარეობას, მაგრამ ჯერ არავის არ ყოფნის გამბედაობა მსხვერპლის მისატანათ. ამავე დროს თავისუფალი ერის შექმნა დანაწილებული მასისაგან დიდ ენერგიას და აუცილებელ მსხვერპლს მოითხოვს. შემდეგ კერენსკი ეხება იმას, თუ როგორ საპარცხვინოთ მიატოვეს ჯარების ნაწილებმა უბრძოლველათ ფრონტი და მტერს გზა მისცეს. ცხადია,—ამბობს კერენსკი ნაყოფი იყო გარეშე გავლენის და თავისი მოვალეობის დავიწყებისა. ეხლაც ცდილობენ სახელი გაუტეხონ დრ. მთავრობას, მაგრამ ვინც ამის ჩადენას შეეცდება ის ასეთ რეპრესიებს შეხვდება, რომელიც მოაგონებს მათ ყოფილ თვითმპყრობელობას. (ტაში).

ამას იმიტომ კი არ მოვიმოქმედებთ ჩვენ, თითქოს ჩვენი პრესტიჟი, ჩვენი მდგომარეობა ძვირფას რამეთ მიგვაჩნდეს, არამედ,—იმიტომ, რომ აქ ჩვენ ყველანი ერთნაირათ ვართ დაინტერესებული, რომ სახელმწიფოს დანგრევა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ ახალი მთავრობის სახელის გაკეთებით, მის გარშემო ცოცხალი ძალების შემოკრებით. მე თქვენ შეურიგებლათ გეჩვენები. ამაში თქვენ სცდებით.—ჩვენ ულმობნი არა ვართ. გახსოვდეთ, რომ როცა დამფუძნებელ კრებამდე ებრძვით მთავრობას: ერთნი შეგნებულათ, მეორენი—შეუგნებლათ, ამით თქვენ გამარჯვებას უმზადებთ ძველი წყობილების მომხრეთ. შემოქმედებითი მუშაობისადმი არ მისწრაფება და ურთი-ერთ შორის მუდმივი ბრძოლა ძველმა მთავრობამ გვიანდერძა. ეს წმინდა რუსული ავათმყოფობაა. საზიზღარ მთავრობას მხოლოდ მაშინ შეეძლო ბატონობა, როცა ის მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორეს უსისიანებდა, სხვადასხვა პრივილეგიებითა და მოწყალების მიცემით რყვნიდა მცხოვრებთა ზოგიერთ ელემენტებს. ძველ მთავრობის ასეთ მემკვიდრეობასთან გვაქვს ახლა ყველგან საქმე, ჯარის მომავალი, მისი ხსნა შეგნებასა და გონივრულათ მუშაობაშია. დროებითი მთავრობა თაყვანს სცემს ჩვენ ჯარს, მუხლს იდრეკს ყველა დაღუპული ჯარისკაცისა და აფიცრის ხსოვნის წინაშე. თუ წინეთ რუსეთის რევოლიუცია დამნგრევი იყო,—ძველი წყობილების საფუძვლის მომშლელი, ახლა სამაგიეროთ, დადგა დრო, როცა საჭიროა მოპოვებული უფლებების გამაგრება-შენარჩუნება. რუსის ხალხისაგან მთავრობა კინკლაობას, ურთი-ერთ შორის ბრძოლას კი არ მოელის, არამედ—მოელის საქმეს, მოელის საერთო წეს-რიგის სასარგებლოთ შრომის და მსხვერპლის შეწირვას. ჩვენ გავეცანით საზიზღარ ცდას სეპარატიული ზავის ჩამოგდების შესახებ; ასეთი წინადადებით პაპმა მიმართა ჩვენს მოკავშირეებს. რუსეთი მიმართვაში მოხსენებული არ ყოფილა. რამდენიმე თვის წინათ ასეთ მომართვას რუსეთისადმი ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩვენმა ხალხმა უარყო ის. ეხლა მე შემიძლია დავამოწმო, რომ ასეთივე უარყოფით შეხვდენ ამ მოწოდებას ჩვენი მოკავშირენიც. სხვა მხრივ ჩვენ არ ვფიქრობდით და არც შეგვეძლო გვეფიქრნა. (ცხარე ტაში ყოველი მხრიდან. დარბაზში ყველანი ფეხზე წამოდგებიან და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიესალმებიან). დროებითი მთავრობა თავის ვალს სახელმწიფოს წინაშე პატიოსნად მოიხდის და სადაც ბრძოლა შესაძლებლობის საზღვარს გადასცდება, სადაც მოისურვებენ სახელმწიფოს გაჭირვებული მდგომარეობით ისარგებლონ და ამით ძალადობა მოახდინონ თავისუფლებასა და რუსის ხალხის ნებაზე, იქ ჩვენ შევძახებთ: ხელები შორს! კერენსკი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამ დღეებში შეიძლება ფინლიანდია შეეცადოს და ისარგებლოს სახელმწიფოს გაჭირვებული მდგომარეობით და ძალადობით განახორციელოს ის მიზნები, რომლებიც სახელმწიფოსთვის დამღუპველია, მაგრამ მან უკვე მოახდინა შესაფერი განკარგულება—ფინლიანდიის ასეთი ცდა არ იქნება დაშვებული. გლეხთა, მუშათა და ქალაქის მასსა ჩვენი ძმები უკრაინელები არას დროს არ წავლენ იმ გზით რომ ჩვენ უფლება გვქონდეს ვკითხოთ მათ: საყვარელო ძმაო! რისთვის მეამბოხები? ვინ მოგცა შენ 30 ვერცხლი? დაბოლოს კერენსკი აცხადებს, რომ იმ მონაპოვებს, რომელიც ამ ჟამად რუსის ხალხს ხელთ უპყრია ვერავინ ვერ წაართმევს. წარსული თვეების ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ბევრი რამ შევქმენით შემთხვევით მოუფიქრებლათ და ამიტომ საჭიროა მათი გადასინჯვა. ყველაფერს თავის ალაგს მივუჩენთ. დროებითი მთავრობა შესძლებს ისეთი ძლიერი გახდეს, რომ არავის არ ექნება ეჭვი იფიქროს, თითქოს ის საქმის ერთ მხარეს ხურავდეს, მეორეს კი—ღიათ სტოვებდეს. და თუ ჩვენ ამ საერთო არევ-დარევის და ნგრევის პროცესში ნანგრევებში არ მოვყევით, თუ ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი ჭკუა-გონებით საქმის მოგვარებას, აი სწორედ მაშინ მოგმართავთ თქვენ. ახლა კი, იმ ალაგას, სადაც თვითნებობა და ძალადობაა ჩვენ მივალთ მთელი ჩვენი სიმაგრით, ძალა უფლებით, (ხანგრძლივი ტაში). სხდომა შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრი აქსენტიევი. ის აცხადებს, რომ კერენსკის შემდეგ მას სალაპარაკო ცოტა დარჩა. ძველმა მთავრობამ ყველაფერი დანგრეული დატოვა. დროებითი მთავრობას დიდი საქმეები უდგას წინ გასაკეთებლათ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი დახმარების საქმეში დიდებულია. ამ ორგანიზაციების მოქმედებაში შეცდომები იყო, რომელთა გასწორება საჭიროა. რუსეთი ეხლანდელი მდგომარეობა ეს დანგრეული ქვეყნის მდგომარეობაა. დროებითი მთავრობა ებრძვის ამ მოვლენას მთელი ძალ ღონით. საჭიროა ხალხის ფართო მასსაში სახელმწიფოებრივი იდეის გაღვიძებას განვითარება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვალეობაა ადგილობრივი ცხოვრების მოწყობა. ამისთანავე სამინისტრო შეუდგება განაპირა ადგილების მოწყობის საქმეს. ამ მიზნით შექმნის კომისარების ინსტიტუტს, რომელთა შემწეობით კავშირი იქნება გაბმული ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. დაბოლოს ის მოუწოდებს მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას. შემდეგ ლაპარაკობს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **პროკოპოვიჩი**. ის ეხება სახალხო მეურნეობის მდგომარეობას და ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებს არკვევს. ცხოვრების ყოველ დარგში ომის საკითხი კარნახობს. ომის წარმოება დიდძალი ფული ჯდება. სამი წლის განმავლობაში ომზე დაიხარჯა 40—50% ყველა იმ ღირებულებათა, რაიც ქვეყანამ შექმნა. ომმა მოგვწყვიტა საგარეო ბაზარს. გაჩნდა ყოველგვარი საქონლის ნაკლებობა. აბსოლიუტური თავისუფლება ვაჭრობისა ხალხის მასსა ბოგანოთ გახდიდა. საქმის მოწესრიგებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელი იყო. მთავრობა ეცდება ამ ნიადაგზე საქმის მოგვარებას. სურსათის მხრით რუსეთის მდგომარეობა კრიტიკულია. ამ ნიადაგზე არეულობა მოხდა, მოსალოდნელია კიდევ მოხდეს ასეთი არეულობანი. შემონახული პურის რაოდენობა რუსეთში უმნიშვნელოა—სულ რაღაც 26 მილიონი ფუთია. ტრანსპორტის არევ-დარევა ხელს გვიშლის ამის ხეირიანათ სარგებლობაში. საქმის მოსაგვარებლათ საჭიროა ვაჭართა კლასის საქმეში ჩარევა, საჭიროა მათი დახმარება და პროფესიონალური გამოცდილებით სარგებლობა. მინისტრი მოუწოდებს ყველა კლასებს თანხმობით მუშაობისაკენ. როცა მიწის საკითხს შეეხო მინისტრი, სთქვა: მთავრობას აზრათ არ აქვს დამფუძნებელ კრების გადასაწყვეტი საქმის გადაწყვეტა, არამედ—ცდილობს ურთი-ერთ შორის დამოკიდებულობის მოგვარებას. უნდა დაცულ და განვითარებულ იქნას წარმოება. შრომისა და ვაჭრობის სამინისტროები შეთანხმებით მუშაობენ. მიმოსვლის საკითხს შეეხო მინისტრი და აღნიშნა, რომ დაზიანებული ორთქმავალები 25 პროც. შეადგენენ. ივლისის თვეში დაუტვირთავი დარჩა 250 ათასი ვაგონი. მთავრობა ყოველ ზომებს ხმარობს, მაგრამ არ შეგვიძლია დავფაროთ, რომ მდგომარეობა კრიტიკულია. დიე, კაპიტალისტებმა უარი სთქვან ზედმეტ მოგებაზე, მუშებმა—ზედმეტ დასვენებაზე სამშობლო ყველასაგან მსხვერპლს მოითხოვს. ფინანსთა მინისტრი **ნეკრასოვი**, ამბობს, რომ ფინანსიური მდგომარეობა რუსეთისა ყველაზე უფრო უარესი და საშინელია. შემოსავალი 35 მილიარდია, გასავალი—49. საჭიროა ხელ-მომჭირნეობა ფრონტზე და ზურგში. ახალი რევოლიუციონური წყობილება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ძველი წყობილება. სასურსათო კომიტეტების ხარჯები 500 მილიონ მანეთს უდრის, საადგილ-მამულო კომიტეტების—140 მილიონი მანეთი. ამნაირი ხარჯების ატანა ხაზინას არ შეუძლია. ამას უნდა ბოლო მოეღოს შრომის ხელფასის მომატებაც დიდ გავლენას ახდენს ფინანსების არევ-დარევაზე. ის მოთხოვნები, რომლებიც ხაზინას წარმოუდგინეს წლის ბოლომდე, დიდძალ ფულს მოითხოვს. მარტო პუტილოვის ქარხნის მუშების მოთხოვნა—90 მილიონ მანეთს უდრის. კერძო წარმოებებმაც ვერ აიტანეს ეს მოთხოვნანი და ხაზინას მიმართეს სესხისთვის. სამწუხაროთ, ხელფასის მომატება არ იწვევს შრომის ნაყოფიერების მომატებას. გადასახადები ცოტა შედის ხაზინაში. საჭიროა არაპირდაპირი გადასახადების გადიდება. აზრათ გვაქვს შემოვიღოთ ჩაის, შაქრის და წუმწუმის მონოპოლიები. სესხის პროექტები საშუალებას მოგვცემენ მივმართოთ ხალხს დახმარებისათვის. ფინანსიური პოლიტიკა გადაჯაჭვულია სახელმწიფოს თავდაცვის საქმესთან. სამშობლოს დასახსნელათ საჭიროა წესიერება და მსხვერპლი. მთავრობასთან ერთად გეკითხებით თქვენ: მზათ ხართ თუ არა თქვენ და ისინიც ვინც გამოგზავნეთ აქ, მიიღოთ ეს სამი ძირითადი პირობა და განახორციელოთ ის შეძლების დაგვარათ. (ხანგრძლივი ტაში)

ფინანსების მინისტრის შემდეგ ლაპარაკობს მოსკოვის ქალაქის თავი რუდნევი, რომელიც სალამს უძღვნის თათბირს მოსკოვის მცხოვრებთა სახელით. რუდნევი მოუწოდებს ყველას შეერთებისაკენ, აგრეთვე ის ლაპარაკობს მოსკოვის გაფიცვების შესახებ და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ გაფიცვები გამოწვეულია უპასუხისმგებლო აგიტატორების გავლენით.

დაბოლოს კერენსკი მოუწოდებს ყველას პატივი სცენ ბრძოლის ველზე დახოცილებს. ყველანი დგებიან.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 12—13—14 აგვისტო).

### მიწის საკითხი.

**ტამბოვი.** საადგილ-მამულო კომიტეტთა საგუბერნიო ყრილობამ დაადგინა, რათა საჩქაროთ დამტკიცებულ იქნას მინისტრ ჩერნოვის კანონ-პროექტი მთელი მიწების საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

### სამშვიდობო ნოტა.

**სტოკჰოლმი.** გერმანიის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში შეეხნენ პაპის სამშვიდობო ნოტას და ყველა ფრაქციების წარმომადგენლნი თანაგრძნობით შეხვდენ მას.

### დამფუძნებელი კრება.

**პეტროგრადი.** დროებითი მთავრობის დადგენილებით დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება 12 ნოემბერს, შეიკრიბება 28 ნოემბერს.

### გაფიცვა.

**რეველი.** ქალაქში გაფიცულია ზოგიერთი ფაბრიკა ქარხნები. მოთხოვნილება ეკონომიური ხასიათისაა.

### კანცლერის სიტყვა.

**სტოკჰოლმი.** გერმანიის კანცლერმა საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სთქვა: შეთანხმების სახელმწიფოთა და შეერთებული შტატების ძალდატანებით ჩვენ მტერს კიდევ სამი მტერი შეემატა. ესენია—სიამი, ლიბერია და ჩინეთი. შემდეგ მან წაიკითხა ჰინდენბურგის დეპეშა, სადაც ის ამტკიცებს, რომ გერმანიის მდგომარეობა ყველა ფრონტებზე საუცხოვოთაა. ამის შემდეგო—დაუმატა კანცლერმა—ვერ წარმომიდგენია, რატომ ჩვენი მტრები არ დაიწყებენ მოლაპარაკებას ზავზეო. გაზეთების აზრით გერმანიას არ შეუძლია ზავის ახალი პირობების წამოყენება. კანცლერი შეეხო პაპის სამშვიდობო ნოტას და სთქვა, რომ ყოველივე ნაბიჯს ზავის მოსახლოვებლათ გადადგმულს გერმანია სიამოვნებით შეხვდებაო.

### ომი და ზავი.

**სტოკჰოლმი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ლინდმანმა სიტყვა წარმოსთქვა შვეციის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან სთქვა: მთელი კაცობრიობა, აგრეთვე ნეიტრალური ქვეყნები მეომარ სახელმწიფოებზე ნაკლებ არ არიან ზავის მოახლოვებით დაინტერესებულნი, მაგრამ არავითარი საკითხი ისე გამოურკვეველი არ არის, როგორც ზავის საკითხი. მიუხედავათ ამისა, მაინც უნდა ველოდეთ რომ ზავი ადრე იქნება შეკრული. მხოლოდ, მისი აზრით, არ უნდა იქნას დავიწყებული ზავის ჩამოგდების დროს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ინტერესები და ზავიც მკვიდრი უნდა იქნეს.

### მასწავლებელთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** მასწავლებელთა ყრილობამ აუცილებლათ აღიარა სახალხო განათლების საქმის სრული რეორგანიზაცია დემოკრატიული პრინციპის საფუძველზე. სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტში 15 წევრი აირჩია.

### სუხომლინოვის საქმე.

**პეტროგრადი.** დაიწყო მოწმეების შეკითხვა. მთავარი შტაბის უფროსმა იანუშკევიჩმა გულის შემზარავი სურათი დახატა, როცა შეეხო ჯარში საომარი მასალების ნაკლებობას. შტაბის მოთხოვნაზე სამხედრო მინისტრი ზომებს არ ღებულობდა და დაპირებით კი გვპირდებოდა. იყო ისეთი შემთხვევა, როცა გერმანელები არტილერიით ახლოს მოდიოდნენ ჩვენ ჯართან, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ ჩვენს უიარაღობაში და გვანადგურებდნენ. მე ყოველთვის ვაფრთხილებდი სუხომლინოვს არ დაეჭირა ახლო კავშირი მიასოედოვთან, რადგანაც მიასოედოვს არ ჰქონდა კარგი სახელი. როცა მიასოედოვი სიკვდილით დაისაჯა, სუხომლინოვმა მკითხა:—შეცდომა ხომ არ მოსვლია სასამართლოსო. შემდეგ სუხომლინოვმა სთქვა: „გერმანია 40 წელი ემზადებოდა საომრათ, რუსეთი—არა და ამიტომ მას არ აღმოაჩნდა იარაღიო“.

### შრომა და კაპიტალი.

**დონის როსტოვი.** მეზღვაურ—მუშათა და გემის პატრონთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოსწესრიგებელი თათბირი უშედეგოთ დამთავრდა. საკითხი გადასაწყვეტლათ შრომის მინისტრს გადაეცემა. მეზღვაურთა კავშირმა გადასწყვიტა გაფიცვა არ მოახდინოს.

### გაფიცვა.

**მოსკოვი.** სახელმწიფო თათბირის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად მოხდა ტრამვაის გაფიცვა. ამის გამო ქალაქის თავი წერილობით მიმართავს ქალაქის დაბალ მოსამსახურეთა კავშირს და მოაგონებს მათ, რათა მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას ქვეყნის ყველა ცოცხალ ძალებთან კავშირის დაჭერის საქმეში. ქალაქის თავი სწერს: „რევოლიუციონური დემოკრატია საკმაოდ ძლიერია, რომ ებრძოლოს კონტრ-რევოლიუციას და მოსკოვის თათბირიც თავის მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს. ყოველგვარი სეპარატიული გაფიცვებით და გამოსვლებით კონტრ-რევოლიუცია ისარგებლებს“.

## ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 12 აგვისტო. დასავლეთ ასპარეზზე მოწინავე რაზმები იბრძვიან და დროგამოშვებით სროლაა.

რუმინიის ფრონტზე, მაროშეშის ჩრდილოეთით და სოვეჯას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე, ქ. უშნუეს დასავლეთით მტერი უკუ ვაქციეთ.

**პეტროგრადი.** 12 აგვისტო. ბარანოვის მიმართულებით, სოფ. ლამუზის რაიონში მტერმა ჩვენს სანგრებს ყუმბარები დაუშინა. ოგინის არხთან, მარტინოვკის რაიონში მტერმა ორი ბატალიონის დახმარებით იერიშები მოიტანა და ჩვენი სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა, მაგრამ კონტრ-იერიშის შეოხებით დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ. მდ. ზბრუჩის შესართავთან ჩვენი მზვერავები ავსტრიელ ჯარის-კაცებს თავს დაესხნენ და 10 მეომარი ტყვეთ წამოიყვანეს.

რუმინიის ფრონტზე, ოკნის ფრონტზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტზე, გიუმიშხანის მიმართულებით ჩვენი მოწინავე რაზმები ოსმალეთის ჯარისკაცების 4 თხრილს ზურგიდან დაეცნენ და იქ მყოფი 30 ჯარისკაცი გაჟლიტეს. კიალკიტჩაის ველზე მტრის ერთი როტა უკუ ვაქციეთ. ქ. უშნუეს დასავლეთით, გევერდ-დაგის რაიონში მაღლობები დავიკავეთ. მტერი შეკვეთს მიმართულებით უკან იხევს.

**ლონდონი.** 10 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, ლინსის სამხრეთ-დასავლეთით ოდნავ წინ წავიწიეთ. იპრის ფრონტზე, ლონგე-მარკას აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** 12 აგვისტო. იპრ-მენენის გზასთან გერმანელებმა ახალი ძალებით იერიშები მოიტანეს და ჩვენი მოწინავე რაზმები უკან დახ ვიეს. ინვერნესისა და გლენკორსის ტყესთან სასტიკი საარტილერიო სროლა გაჩაღდა

**რომი.** 10 აგვისტო. მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა მტრის ახალი პოზიციები დაიკავა. ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 500 აფიცერი და 20000 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 60 ზარბაზანი და მრავალი საომარი მასალა.

**პეტროგრადი.** 12 აგვისტო. ბარანოვიჩის მიმართულებით მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა. ამავე მიმართულებით მტრის ჰაეროპლანები ჩვენი ჯარის მოძრაობას თვალ ყურს ადევნებენ. ვლადიმირ ვოლინის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

რუმინიის ფრონტზე ქ. სერეტის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ჩვენი სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგრები უკანვე დავიბრუნეთ. ვაზ-გარელის მიმართულებით, სოვეჯას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე, უშნუეს დასავლეთით შეკიეას რაიონში მტერს უკან დავახევიეთ,

**პარიზი.** 11 აგვისტო. შამპანში ჩვენი არტილერია სასტიკ სროლას განაგრძობს.

სენას გასწვრივ მოწინავე რაზმებმა წინ წაიწიეს. მდ. მაასის ნაპირებთან „304" მაღლობი და კოლმაჩის ტყე დავიკავეთ. საშუალოთ აქ ჩვენ 3 კილომეტრის მანძილით წინ წავიწიეთ. ფრენ-შეტანკურის გზასთან, მორტომის ჩრდილოეთით 1 კილომეტრით მტერს უკან დავახევიეთ.

**ლონდონი.** 12 აგვისტო. სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გილემონის ფერმაზე მტერმა იერიშები მოიტანა და ზოგიერთი სანგრები დაიკავა. გუზოკურას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლანსის ჩრდილო დასავლეთით კვლავ წინ წავიწიეთ.

**რომი.** 12. აგვისტო. ჩვენმა ჯარმა მინტოსანტოს მაღლობები დაიკავა და ჩვენი არმია მტრის უკან დადევნას განაგრძობს.

# დეპეშა.

ქართველ მსროლელთა პოლკის კომიტეტი სალამს უძღვნის სოციალ-დემოკრატების ბრწყინვალე გამარჯვებას საქალაქო არჩევნებში. ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ძლევამოსილი დემოკრატია თქვენი ხელმძღვანელობით ბოლოს მოუღებს პლუტოკრატიის ბატონობას და ააყვავებს ქალაქს თავისუფლების, ძმობისა და თანასწორობის საფუძველზე. ჩვენ გვწამს, რომ მუშათა კლასი და თფილისის დემოკრატია თავისუფლათ ამოისუნთქავს მძიმე ტკივილების შემდეგ. იდექით დემოკრატიის ინტერესების დარაჯათ, გაადვიძეთ, როგორც დიდებულ ალვებდით, კავკასიის ერთა შორის სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობა.

თავმჯდომარე ქობულაშვილი.

მდივანი ქუმბურიძე.

# ახალი ამბები

✦ **ამხ. კარლო ჩხეიძისა და ირ. წერეთლის სურათები.** როგორც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს ამხ. აკაკი ჩხენკელს ატყობინებენ პეტროგრადიდან, ცნობილ მხატვარს ბროცკის უკვე დაუმთავრებია ჩხეიძისა და წერეთლის სურათები. სურათებს ამ ახლო მომავალში გამოსცემს გამომცემლობა: „თავისუფალი რუსეთი." სურათებთან ერთად იქნება აგრეთვე ჩხეიძისა და წერეთლის ბიოგრაფიაც.

✦ **ქალაქის საბჭოში.** 11 აგვისტოს მოხდა სხდომა გამგეობას წევრებთან ერთად საორგანიზაციო კომისიის წევრებისა. დაადგინეს ამორჩეულ იქნას შემდეგი კომისიები: 1) კომისია, რომელიც განიხილავს საბჭოში შემოსულ საჩივრებს—5 წევრი, 2) სარევიზიო კომისია—15 წევრი; 3) ხარჯთაღრიცხვისა და საფინანსო კომისია—19 წ.; 4) კომისია, რომელიც გაუძღვება რევიზიას ლომბარდისა და დამხმარე კასებს—5 წ.; 5) ტეხნიკური კომისია—შედიან ყველა ინჟინერი და ტეხნიკი ხმოსნები; 6) კომისია, რომელიც იზრუნებს ქალაქის გამშვენიერებაზე—11 წ.; 7) ტრამვაის კომისია—11 წ.; 8) წყალსადენის კომისია—14 წ.; 9) ავადმყოფთათვის სადგომების მომწყობი კომისია—11 წ.; 10) მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე მზრუნველი კომისია—შედიან ყველა ექიმები, ფარმაცევტები და ფერშალი ხმოსნები; 11) სასურსათო კომისია—17 წ.; 12) იურიდიული—ყველა იურისტი ხმოსნები; 13) საადგილ-მამულო—13 წ.; 14) გადასახადების ამკრეფი—7 წ.; 15) პენსიების დამნიშნავი კომისია—9 წ.; 16) სასკოლო—20 წ.; 17) კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ზუბალოვის დატაკთა თავშესაფარს—5 წ.; 18) საქველო საბჭოსნო; კომისია—8 წ.; 19) შრომის კომისია—9 წ. 20) კომისია, რომელიც დემობილიზაციას უხელმძღვანელებს—15 წ.; 21) კომისია, რომელიც დანიშნავს თვითმმართველობის მოსამსახურეებს—15 წ.; 22) ბინის—12 წ.; 23) საჩხედრო საკრებულოს—2 წევრი და 2 კანდიდატი 24) კომისია, რომელიც იზრუნებს სახალხო სახლზე—3 წ. და 25) შემფასებელი კომისია—3 წ.

✦ **გაფიცვის დასრულება.** 11 აგვისტოს დასრულდა მზარეულთა გაფიცვა.

✦ **ამიერ კავკასიის ტეხნიკთა კავშირი.** კავშირის საბჭომ შეადგინა 6 ინჟინერისაგან ჯგუფი, რომელსაც მიანდო ტეხნიკების მოსამზადებელ კურსების მოწყობა. საბჭომ აგრეთვე აღძრა შუამდგომლობა ტეხნიკებისათვის ეგზამენები დაინიშნოს სექტემბრის გარდა დეკემბერში ან იანვარში. ამით დაბალ ტეხნიკებს ეძლევათ საშუალება გააუმჯობესონ თავისი მდგომარეობა.

✦ **გურიის ს.-დ. კომიტეტის წევრთა სხდომა** გადაიდო 25 აგვისტოსთვის.

✦ **„თავისუფლების მოედანი"** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში შემოდის განცხადება, რომ ზოგიერთები იკავებენ მიწის ნაჭრებს „თავისუფლების მოედანზე და სახლებსაც აშენებენო. საბჭო მიმართავს ქალაქის საბჭოსა და მილიციის უფროსს, მიიღონ ზომები ასეთი არა სასიამოვნო მოვლენის წინაღმდეგ.

✦ **ქალაქის საბჭო.** გუშინ ახალმა საბჭომ ჩაიბარა ქალაქის კასა, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

✦ **ტრამვაის გარშემო.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ტრამვაის წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა დაყოს თფილისი 24 ნაწილათ და თითეულ ნაწილში დანიშნოს ორ-ორი კომისარი, რომლებმაც თვალ-ყური უნდა ადევნონ რომ მგზავრებმა წესრიგი არ დაარღვიონ. ამას გარდა ყველა ვაგონზე ამავე მიზნით ინიშნება თითო შეიარაღებული ჯარისკაცი. იმ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს ერთი ვაგონიდან მეორეში გადაჯდომის გამო ინიშნება ცალკე პატრული.

✦ **როგორ გამოემშვიდობა ალ. ხატისოვი ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს** შაბათს ქალაქის თავის კაბინეტში შეგროვდნენ: ახალი ქალაქის თავი ნიკო ელიავა, ძველი ქალაქის თავი ალ. ხატისოვი, ქალაქის ძველი გამგეობის მთელი შემადგენლობა და ქალაქის თვითმართველობის ყველა მოსამსახურეები. ალ. ხატისოვმა მიმართა სიტყვით მოსამსახურეებს და აღნიშნა, რომ იგი თავიდანვე კარგათ ეპყრობოდა მათ და მათთან შეთანხმებით მუშაობდა ქალაქის საკეთილდღეოთ, მაგრამ დღეს იძულებულია გამოშორდეს საყვარელ საქმეს. დადგა ახალი დრო და საქმეს სათავეში ჩაუდგა ახალი ხალხი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, სთქვა ხატისოვმა, მაგრამ მას გული სწყდება, რომ წასვლის დროს უსტვენენ ისინი ვინც ბევრში არის მის მიერ დავალებული. მისაყვედურებენ, მეფის მოადგილესთან სიარულს და მის წინაშე მიწაზე ხოხვას. მაგრამ მე კერძო საქმისთვის არავის არ მივმართავდი, ყოველთვის სხვისთვის ვშუამდგომლობდი. ნ. ელიავამ უპასუხა ხატისოვს, რომ იგი ყოველთვის ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა მას, როგორც მუნიციპალურ მუშაკს. ეს უნდოდა კიდეც აღენიშნა თავის სიტყვაში საბჭოს წინაშე, მაგრამ ძალზე აღელვებული იყო და ვერ შესძლო, მაგრამ იმედია ხატისოვი შემდეგშიაც გაგვიწევს დახმარებას, როგორც გამოცდილი მუნიციპალური მოღვაწე. ხატისოვმა უპასუხა, რომ ბევრი ურჩევენ მას მიატოვოს ქალაქის საბჭო, მაგრამ მას იმდენათ უყვარს ქალაქის საქმე, რომ არ შეუძლია მისი მიტოვება და დარჩება ისევ ხმოსნათ.

✦ **რაჭა-ლეჩხუმის** დემოკრატიულ ორგანიზაციათა სასარგებლოთ გამართულმა სეირნობა-კონცერტმა 13 აგვისტოს, კარგად ჩაიარა, მიუხედავად ღრუბლიანი ამინდისა ხალხი ბლომათ დაესწრო და წმინდა შემოსავალი დარჩა 1 200 მანეთი.

✦ **სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში,** თანახმად უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის განკარგულებისა, მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან. გამოსაცდელი ეგზამენები მოხდება 1—7 სექტ., ხოლო მისაღები 9—13 სექტემბერს.

✦ **სამოსწავლო ოლქი.** 11 აგვისტოს მოხდა სამოსწავლო ოლქის კომისარიატისა და საბჭოს წევრების კრება. გასარჩევი იყო კითხვა, თუ როგორ მოეწყოს დაბალ და მაღალი სახალხო სკოლების ხელმძღვანელობა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა, გაუქმებულ იქნას სახალხო სკოლების დირექტორისა და ინსპექტორის თანამდებობა და სამეურნეო-სამდმინისტრაციო საკითხების გადასაჭრელათ დაარსდეს ნაციონალური კომიტეტები. ამ კომ. მოსაწ. არსდება სკოლების კომისარის თანამდებობა. კომისარებს დანიშნავს სამოსწავლო ოლქის კომისარიატი საბჭოსთან შეთანხმებით. იმ ადგილებში, სადაც უკვე მოხდა საქალაქო არჩევნები ახალი კანონის თანახმათ, სკოლის კომიტეტებს ირჩევს ქალაქის საბჭო.

✦ **გაძარცვა.** როგორც ბორჯომიდან გვატყობინებენ, 11 აგვისტოს ვაგონში გაუძარცვავთ და სასიკვდილოდ დაუჭრიათ ბორჯომის მამულების არტელჩიკი პილანი. წაუღიათ 23 ათასამდე მანეთი.

✦ **კავკავის საქალაქო არჩევნები.** კავკავის საქალაქო არჩევნებში სოციალისტების ბლოკმა გაიმარჯვა, საბჭოში გაიყვანა 62 ხმოსანი, კადეტებმა გაიყვანეს 17 ხმოსანი; ხელოსანთა საზოგადოებამ—1; სექტანტების ჯგუფმა—1; ოსებმა—5.

# ბახმარო*).

მწვერვალოზე გადამდგარი კალთებს დაჰსცქერ მწვანით მოსილს...
წყარო მარდათ მიმდინარე კლდეში აფრქვევს გულ წრფელ სიცილს.
სათაცნებოთ წარიტაცებს მწარე ყოფნით დადაღულ გულს,
მრავალ წლებათ აქცევს წამებს, თვალ-წინ გიშლის იმ დროს, წარსულს.
ირგვლივ მდელოს ამაყობით საყორნია**) მკაცრათ დასცქერს,
გაყინული შავი გრძნობით საბრძოლველათ ამ გულს აძგერს...

ჰა, შორს მოსჩანს ცხენის წყალი***)
გველივით დაკლაკნილი,
მას მხარ და მხარ გვერდს უმშვენებს
ძმა რიონი***) დაწყნილი;
ცოტა აქეთ ბახვის წყალი***)
მთიდან მარდათ მონაწყვეტი:
ბევრი არის მისი ცალი,
ყველგან მოსწვეთს ტრფობის წვეთი...
თვალს იტაცებს მდინარენი:
ბჟუჯი, სუფსა, ნატანები...
იდვიძებენ მძინარენი—
მათ შხუილზე შავი მთები...

მთის კალთებზე გაფენილა წერტილებათ ცხვრისა ფარა...
ხან ტიალობს და ხან ზნელა: ნისლით მდელო დაიფარა.
გაჰქრა ნისლი... თოვლ-ყინული კლდე-ღრეებში ჩაწოლილა,
მდევ-გმირივით გაზხლართული მთის ქედებით შემოსილა...
ყვავილებით, სიყვარულით, ტკბილი ჰაერით გული მშვიდობს;
დაწყნარებით, ნაზი გრძნობით ჩვენი ყოფა აქ ფიქრობს..
რა კარგია, რა კარგია!.. მშრომელთ ყანა როგორ ღელავს!
და სიცოცხლის სიძლიერე აქ მქუხარებს, სჭექს და ელავს...
და ბუნების სიდიადეს მე შევყურებ ღრმა დუმილით,
ადამიანთ სიფუსფუსეს მე ვუცქერი მწარ ღიმილით...
აქ-იქ ჰყრიან წერტილებათ, საჰაეროთ ვლიან მარად,
იფანტვიან ტყეს სუსტ ხმებათ, სეირნობენ წარა მარად...
აქ სიცილი და კისკისი, იქ გიტარა სალამური;
ნაძვნარებში „ყოფნის ფასი" და სიმღერა სამღური—
ბახმაროზე გაპნეულა, გული ტრფობით აღვზნებულა,
და ჰა, კაცის მძლავრი ხელით რა სიცოცხლე აგებულა!

მწვერვალოზე გადამდგარი მე ზემოდან, თქვენ გშორდები,—
შორით მყოფმა უფრო მძლავრათ მოგაძლევნათ წრფელი გრძნობები.

დ. მეჩონგური.

*) ავარაკი გურიაში.
**) უმაღლესი მწვერვალი ბახმაროზე.
***) მდინარეების სახელი გურიაში.

✦ **სიღნაღის ქალაქის თავად** 10 აგვისტოს ერთხმად აურჩევიათ ამხ. ემილე სარაბიძე.

✦ **სალამოს გადადება,** გაზ. „ფიქრის"-ს სასარგებლოთ სალამოს გამართვა გადაიდო სხვა დროისთვის.

✦ **ძველი ქალაქის თავი** ალ. ხატისოვი კისლოვოდსკში წავიდა.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 8 ს, ქალთა 1 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. მე-4 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია მე 3 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

— დღეს, საღამოს 7 ს. სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება.

— ხვალ, დილის 9 ს. სახალხო სახლში შესდგება კრება რესტორანებში, კლუბებში, სასტუმროებში, ყავახანებში და სხ. მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებისა.

— ხვალ პეტრე დიდის სკოლაში (ჩერქეზოვის ქუჩ. № 29). დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. მე-2 რაიონის კოლექტივის მე-3 ნაწილის წევრთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დააგვიანებენ.

— ხვალ, საღამოს 7 ს. ვერის ს. დ. მუშათა კლუბში (საფილოსოფლო ქ. № 3) დანიშნულია ს. დ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. ვსთხოვთ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ კრებას.

# პროვინციის ქრონიკა.

**ახმეტა** (თიან. მაზრა). 4 აგვისტოს საღამოს გაიმართა ახმეტის მოწინავე ამხანაგთა თათბირი; თათბირმა დაადგინა: გაიმართოს მიტინგები, შეუდგნენ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის მზადებას, გამორკვეულ იქნას შავრაზმელთა მოღვაწეობა და მათი ვინაობა.

**სოფ. გურჯაანი.** 31 ივლისს სოფ. გურჯაანში შესდგა კახეთის ახლად დაფუძნებულ მევენახეთა კავშირთა-კავშირის საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც პრეზიდიუმში აირჩია ვასო მჭედლიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი და ივანე იოსების ძე ვაჩნაძე.

პრეზიდიუმი მუშაობას უკვე შეუდგა, მხოლოდ რადგან გურჯაანში მოწყობა ჯერ ჯერობით მოუხერხებელი იყო (როგორც მოითხოვს წესდება), ბინა მოაწყვეს იანვრამდე ს. ველისციხეში, ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

# ბაქოს ამბები.

როგორც „ბაკუ" გადმოგვცემს, 9 აგვისტოს შრომის მინისტრის სკობელევის თანდასწრებით მოხდარა შემთანხმებელი კომისიის სხდომა, რომელსაც მიზნათ ჰქონია კოლექტიური ხელშეკრულების შემუშავება. სხდომაზე შეხებიან მხოლოდ შრომის ხელფასის მომატების საკითხს. ნავთის მრეწველთა წარმომადგენლები იმ შემთხვევაში თანხმდებოდნენ ხელფასის მომატებაზე, უკეთუ ნავთზე ფასი იქნებოდა მომატებული. მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი ბაქოში ჯეროვანათ ვერ გადაწყდებოდა, შემთანხმებელ კომისიას დაუდგენია მისი პეტროგრადში გადატანა, სადაც ამ ახლო ხანში გაემგზავრებიან ათ-ათი კაცი წარმომადგენლები როგორც მუშებიდან, ისე მრეწველებისაგან. შრომის მინისტრის სკობელევის წინადადებით მრეწველებმა უნდა მისცენ მუშებს ამ ჟამად ავანსად ორ-ორი თვის ჯამაგირი სამხედრო დახმარებითურთ. მრეწველები მოითხოვენ ნავთზე ფასის აწევას 1 მ. 25 კაპეიკამდე.

# ირ. წერეთლის სიტყვა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე 4 ივლისს ირ. წერეთელი შეეხო დროებითი მთავრობის მოქმედებას და შემდეგი სთქვა: ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელიც 3—5 ივლისის ამბებით დამთავრდა. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, თუ რა განსაცდელი განიცადეს რევოლიუციონურმა ძალებმა იმ ხანებში. მაშინ აღმოჩნდა, რომ რევოლიუციონური ძალების მწყობრი რიგები დანგრეული ყოფილიყო. ამით ისარგებლეს კონტრ-რევოლიუციონურმა ძალებმა და ბურჟუაზიის ზოგიერთმა წრეებმა. ისინი სრულიადაც არ აქცევენ ყურადღებას იმ უბედურებას, რომელშიაც ამ ჟამად სახელმწიფო იმყოფება. პირიქით, მათ სურთ ქვეყნის ასეთი მდგომარეობა თავიანთი ბატონობის გასამტკიცებლათ გამოიყენონ. მდგომარეობა საძნელო ხდება, მაგრამ შეკავშირებულმა რევოლიუციონერმა ძალებმა მაინც შესძლეს, რათა ის კონტრ რევოლიუციონურ ძალებს მეორე რიგში არ მიექცია. რევოლიუციონური დემოკრატია განაგრძობს სადარაჯოზე დგომას, მისი უმთავრესი მიზანია ამ ჟამად წესრიგის განმტკიცება—გამაგრება, რაც შექმნის ნიადაგს ქვეყნის ძალთა გაფურჩქვნისა და დაიხსნის ქვეყანას და რევოლიუციას დაღუპვისაგან. ამიტომ იქნა შედგენილი კოალიციონური სამინისტრო. ორ კვირაზე მეტია ეს სამინისტრო მუშაობს. მასში მონაწილეობენ როგორც სოციალისტები, ისე სხვა რწმენის საუკეთესო წარმომადგენელნი. კონტრ-რევოლიუციონური წრეების იერიშების ხანაში უპასუხისმგებლო დემაგოგები მარცხნიდან და მარჯვნიდან ცდილობენ ახალი კრიზისის გამოწვევას, რათა ხელში ჩაიგდონ ძალა-უფლება, რომ გაატარონ ცხოვრებაში თავიანთი იდეალი, რაიც სამოქალაქო ომის დაწყების წინამორბედი იქნება.

რევოლიუციონური დემოკრატიის მიზნები სახელმწიფოებრივი აღმაშენლობის სფეროში ჩვენ ნათლად გვაქვს გარკვეული რეზოლიუციებში, რომლებიც საფუძვლად დაედვა იმ დეკლარაციას, რომლიც ცხოვრებაში გატარება მთავრობის ახლანდელმა შემადგენლობამ იდვა თავს. მთავრობის პირველი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მან სახელმწიფო საქმეებით დააინტერესოს, აამოძრაოს ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები, გააერთიანოს და შეაკავშიროს თავის გარშემო ყველა ასეთი ძალები. ამ ნიადაგზე მუშაობს მთავრობა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მის შეცდომებს. პირველ რიგში ჩვენს წინაშე ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა იდგა. მთავრობა არავითარი მკაცრი ზომების წინააღმდეგ არ უნდა შეჩერებულიყო რევოლიუციონური წესრიგის დასამყარებლათ. მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლები ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას ისე შეუდგნენ, რომ ამით ისარგებლეს კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა თავიანთი მიზნების განსახორციელებლათ. 3—5 ივლისს მომხდარი ამბების მონაწილეთა უსაფუძვლო ბრალდება განურჩევლად, [illegible] მთავრობის ჯაშუშობაში [illegible] დაყენება უეჭველი დანაშაულობის—მთავრობის რევოლიუციონური ორგანოების წინააღმდეგ აჯანყებისა—ეს უდიდესი შეცდომაა. (მოისმის ხმები: გვიანაა ნათქვამი). შეიძლება ეს გვიან ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ 3—5 ივლისს მომხდარ ჟამში ძნელი იყო მთავრობის აგენტების მოქმედებათა ხელმძღვანელობა. მე მჯერა, რომ ასეთ შეცდომებს და აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლებს ამის შემდეგ ადგილი არ ექნება. მთავრობა შესაფერ ზომებს მიიღებს. ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის შესასუსტებლათ კი არ არის საჭირო მომხდარი შეცდომების გასწორება, პირიქით,—ანარქიის შესაჩერებლათ სწორედ სასარგებლოა იმ სფეროში საკითხის გადატანა, როცა წამოყენებულია შეუმოწმებელი უსაფუძვლო ბრალდებანი განურჩევლად. საკითხის ასე დასმა სწორედ უკანა რიგში აყენებს 3—5 ივლისს მომხდარ ამბების გამოკვლევის საქმეს. ამ მომხდარ ამბების ძირითადი აზრი ასეთია: აჯანყება რევოლიუციის ზურგში, რევოლიუციონური მთავრობისა და დემოკრატიის ზურგში იარაღის ჩაცემა. ასე აყენებდა მთავრობა ამ საკითხს საერთოდ. ისინი კი რომლებიც ადგილებიდან გაიძახიან „გვიანაა ნათქვამიო" ნუ იფიქრებენ, თითქოს მე ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის შესასუსტებლათ რაიმეს ვამბობდე. ამ ნიადაგზე მთავრობამ ბრძოლა უნდა განაგრძოს წინანდელის სიმხნევით, ის არ უნდა შეუშინდეს სხვადასხვა დემაგოგიურ ამოძახილებს. ასეთივე ბრძოლა უნდა აწარმოოს მთავრობამ მარჯვნითაც. სასტიკი რეპრესიების შემოღებით უნდა გასცეს მთავრობამ პასუხი იმ ბნელ ძალებს, რომლებიც რევოლიუციას ძირს უთხრიან.

ახლა გადავდივარ იმ საკითხზე, რომელიც ასე აღელვებს უკანასკნელ ხანებში დემოკრატიას. ჩვენ მეტის მეტი აღელვებით შევეგებეთ მოსალოდნელ საგარეო პოლიტიკის ცვლილების ცნობას. იმ დროს, როცა ჩვენი სამხედრო ფრონტი გარღვეულია, რითაც მახვილი ჩაეცა ჩვენს დემოკრატიულ, რევოლიუციონურ ფრონტს, ამ მდგომარეობაში ჩვენ უნდა გვახსოვდეს უმთავრესი მიზანი, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზედაც იქნება დამოკიდებული მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი. რევოლიუციის მიზანია ქვეყნის დაცვა და ამავე დროს საერთაშორისო მოძრაობის გამოფხიზლება ზავის სასარგებლოთ. ჩვენი დაწყებული წინსვლა და ბრძოლის ველზე წარმატება ერთნაირ სიმძიმეს ჰმატებდა ჩვენს ხმას ამ საკითხში, მაგრამ ეს ვერ შეიგნეს მაშინ მათ, რომლებიც წინსვლის წინააღმდეგი იყვნენ. ნუ თუ მათ ვერც ახლა შეიგნეს ეს? ნუ თუ მათ ვერ შეიგნეს, თუ როგორ სარგებლობენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ჩვენი უკან დახევით და ცდილობენ თავიანთი შერყეულ პოზიციებზე გამაგრებას. უკეთუ ვერ აღვადგენთ ჩვენს ჯარს საომრათ, უკეთუ მტერს ვერ გავსცემთ შესაფერ პასუხს, მტერი არა თუ დაანგრევს ჩვენს ქვეყანას და რევოლიუციას, ის აგრეთვე თავის იმპერიალისტურ პოზიციაზე გამაგრდება და საერთო მშვიდობიანობისა და ძმობის საქმეს ჩაახრჩობს.

ის ბრძოლა, რომელიც ამ ჟამად ინგლისსა და საფრანგეთში სწარმოებს,—რუსეთში მომხდარი ამბების გამოძახილია. ყველა იმათ, რომლებმაც ხელი ჩაკიდეს ჩვენს ლოზუნგს ზავის შესახებ იმედი ჰქონდათ რუსეთის რევოლიუციის ძლიერებისა, ამ ლოზუნგის მოწინააღმდეგენი კი, ამ რევოლიუციის სისუსტით იმედოვნებდნენ. რუსეთის რევოლიუციის იდეალი ამავე დროს იდეალია დროებითი მთავრობისა. მე მრწამს, რომ დროებითი მთავრობა ისევე მხნედ დაიცავს რუსეთის რევოლიუციის ინტერესებს საგარეო პოლიტიკის საკითხში, როგორც ის იცავდა. ამიტომ კმაყოფილების გრძნობით მოვუსმინეთ დროებითი მთავრობის განცხადებას, რომ საგარეო პოლიტიკაში ის ძველ გზას ადგია, რომელიც არის რევოლიუციით მონაპოვები.

ჩვენ მოვისმინეთ მინისტრ თავმჯდომარის და სამხედრო მინისტრის მოხსენება, რომ დროებითი მთავრობა შეურყევლად იმ გზაზეა, რომლითაც ჯარში დაცულ და შენახულ უნდა იქნას დემოკრატიული და რევოლიუციონური ორგანიზაციები. მთავრობის უპირველესი საქმეა ეხლა შესაფერი პერსონალის შედგენა, რასაც ჩვენი დახმარებით ის შესძლებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა მთავრობის ყოველი ნაბიჯი აქ იქნას გარჩეული. ამის წინააღმდეგი არიან მემარჯვენეები და აგრეთვე ის პირნიც, რომლებიც კოალიციონური მთავრობის შედგენას მიემხრნენ. ჩვენ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ დროებით მთავრობას. უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატიის წრიდან გამოსული მთავრობა დემოკრატიისავე ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. ჩვენი ამხანაგი მინისტრების მოქმედების კრიტიკა, რომელიც დამყარებული იქნება საერთო ნდობის ნიადაგზე, მათ ახალ ძალას შეჰმატებს რევოლიუციონურ მოპოვებათა გასამაგრებლათ და სანამ არ გაჰქრება იმედი, რომ კოალიციის საშუალებით შეიძლება იმ ძალის გაჰქრა, რომელიც რუსეთს დაიხსნის, ჩვენ, შეკავშირებულმა დემოკრატიამ, მხარი უნდა დავუჭიროთ დროებითი მთავრობას ყოველივე ძალ-ღონით.

ასე დაათავა ირ. წერეთელმა თავისი სიტყვა და სხდომას შესაფერი რეზ. წარუდგინა, რაიც დიდის ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა.

# დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

**დროებითი მთავრობის დადგენილება**

თავი III.

**არჩევნების გამგე დაწესებულებათა შესახებ.**

17. დამფუძნებელ კრების საარჩევნო შემდგარი სამაზრო კომისიას თავმჯდომარეობს ადმინისტრატიული მოსამართლე, რომელსაც ორ მომრიგებელ მოსამართლეს შორის არჩევს სამომრიგებლო ყრილობა ანდა მის მაგიერი დაწესებულება. კომისიაში შედის: 2 წევრი სამაზრო საერობო მმართველობის მიერ არჩეული და 2-იც—სათანადოდ ქალაქის მმართველობისგან არჩეული. ამით გარდა მე-19 მუხლის 1—3 და 5—6 ნაწილებში აღნიშნულ საქმეების განსახილველად, მე-52 მუხლში ნაჩვენებ დროზე, კომისიაში შედის თვითეული წევრი იმ ამომრჩეველთა ჯგუფებისა, რომელთაც საკანდიდატო სიები წარადგინეს და თავიანთი წარმომადგენელნი დაასახელეს და რომელნიც კომისიაში უნდა იყვნენ მოქ-

# სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

**ლაგოდეხის რაიონი** (თელ. მაზ.).

ნით გადმოსული ჯარისკაცები შეცვივდნენ ადგილობრივ კოოპერატივში და ძალადობით ერთი ცალი პურის ფქვილის გატაცება მოინდომეს, რომელსაც მათ სინდისიკენ და ზრდილობისკენ მოუწოდებდნენ კოოპერატივის გამგეობის წევრები, ისინი სამაგიეროთ მუშტიკრივით და ლანძღვა გინებით უპასუხებდნენ;

Баку. Пороховая улица № 24, Илларіону Георгадзе.

— ჯარისკაცი გიორგი ლევანის ძე ქერაული, მსახურობდა მე 66 ქვეითა პეროვსკის მსროლელთა პოლკში მე-4 როტაში, თუ ვინმე იცის რამე მის შესახებ მაცნობეთ:

Кавказская армія 5 кавк. пограничный полкъ 2 сотня. Захару Керәули.

— ჯარ. ირაკლი მელქის ძე დუმბაძე, მსახურობდა კავკასიის მომმდ ჯარში მე 10 დამატებითი ტრანსპორტში. გთხოვთ ყველას გვაცნობოს რამ მის შესახებ.

Баку. Островъ Наргени управленія коменданта, Караману Мал. Вашаломидзе.

**თბილ. ქალაქ. ს. ს. დ. მ. პ. მუშრები**

**მოთავსებულია:**

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტების სახლში, დილა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.